

შავთელის ქუჩა № 17-ში განთავსებული ნაგებობის
და მიმდებარე ტერიტორიის
მხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული
კვლევა



დაშკვეთი:
შ.პ.ს. “თბილისი ჯგუფი”

შემსრულებელი:
არქიტექტორი - ალა პროზოროვა

თბილისი
2010




წარმოდგენილი კვლევა შესრულდა შავთელის ქუჩა №17-ში განთავსებული ნაგებობის რეკონსტრუქცია-ადაპტაციის პროექტირებისათვის (სასტუმროს ფუნქციონირებისათვის)

საკვლევი ობიექტი მდებარეობს თბილისის ერთერთ ყველაზე ძველ უბანში - ზემო კალაში და “ძველი თბილისის” ადმინისტრაციულ რაიონში, თბილისის ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის საზღვრებში. შენობა შედის თბილისის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების ნუსხაში (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010404002) და ეკუთვნის შენობის ნაწილი სახელმწიფოს და ნაწილი კერძო მესაკუთრებს-მობინადრებს (**ზონა 01, სექტორი 18, კვარტალი 03, ნაკვეთები 015/005 და 072/006**), წარმოდგენილი კვლევის დამკვეთი - შ.პ.ს. “თბილისი ჯგუფი”.

კალა – თბილისის ციხე-სიმაგრე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქის მთავარი უბანი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. მოიცავდა ტერიტორიას: მდინარე წავკისისწყლის მარცხენა მხარეს და მოქცეულია დღევანდელი სოლოლაკის ხეივანის – დადიანის ქუჩის – თავისუფლების მოედნის – პუშკინის და ბარათაშვილის ქუჩების - მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შორის. წყაროებში პირველად იხსენიება V საუკუნეში (**კალის ციხე, კალის ეკლი**). ერთი ლინგვისტური მოსაზრებით “კალა” გეოგრაფიული სახელია, მეორე მოსაზრებით – ტერმინი “ყალა”, “kalah” კარგადცნობილი და აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული არაბული წარმოშობის სიტყვიდან “ციხესიმაგრეა”. სხვა მოსაზრებით კი ითვლება, რომ “კალა” ქვას,


კლდეს ნიშნავს. კალასა და მდინარე წავეკისწყლის მარჯვენა ნაპირზე საკუთრივ თბილისის (აბანოუბანი; უფრო გვიან და ფართო მნიშვნელობით – სეიდაბადი) შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა ქალაქი. 1735 წელს ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, „...კალასა და თიფლის ჰყოფს საღალაკის წყალი, რომელიც ... სამხრით და აღმოსავლით უდის კალას და დასავლეთ ტფილისს“. ვახუშტი ადგილის ძველ სახელებს – **თიფლის** და **კალას** უსადაგებს გვიანი ხანის (V-XVIII სს.) სახელებს და წერს “ხოლო აწ უწოდებენ ... კალას – ტფილისსა, ტფილისს – სეიდაბადს...”. ამგვარად, კალა, როგორც სამოსახლო პუნქტის სახელი, ადგილს უთმობს სახელს – ტფილისს. ამის შემდეგ კალა უფრო მეტად ქალაქის ციხის - ციტადელის სახელად იხმარებოდა (უფრო გვიან ასევე ეწოდებოდა შურის ციხე, ნარიყალა) პირველ გრაფიკულ საბუთს, რომელიც ზუსტად გადმოსცემს ფეოდალური თბილისის ქალაქთმშენებლურ სტრუქტურას, ვახუშტი ბატონიშვილის გეგმა წარმოადგენს. კალის უბანი იყოფოდა **ზემო უბნად** (ცენტრი – ბატონის მოედანი, ახლანდელი ერეკლე მეორის მოედანი) და **ქვემო უბნად** (ცენტრი – ციხის მოედანი, იგივე თათრის მოედანი, თათრის ბაზარი, მეიდანის, ახლანდელი – ვახტანგ გორგასლის მოედანი). მათი გამყოფი საზღვარი იყო შუა ბაზარი (გვიანდელი – სომხის ბაზარი, შემდგომ ლესელიძის ქუჩა), ახლანდელი კოხტა აბხაზის ქუჩა. კალას ციხის გაღავანს დატანებული ჰქონდა 6 კარიბჭე; აბანოს, განჯის, კოჯრის, დიდმის, მეიდანის, წყლის კარი.



თბილისი, ჩერნიცოვის ნახატი გრაფიურა, 1730 წ.

კალა თბილისის განაშენიანების უძველეს ისტორიულ ბირთვს შეადგენს. მტკვრის შევიწროებულ კალაპოტთან განლაგებული ეს განაშენიანება ფეოდალური ქალაქის სახასიათო ნიშნებს დღესაც ინარჩუნებს: ნარიყალას ციხე-სიმაგრის შემორჩენილი კედლები, ეკლესიების სიმრავლე, ადრე- და გვიანფეოდალური ეპოქის ქუჩათა ქსელი, ძველი ქალაქის სტრუქტურა და მხატვრულ-არქიტექტურული სახე. ღირებულია ამ უბანში შემონახული არქეოლოგიურ-კულტურული ფენა, უძველესი ტოპონიმების კონცენტრაცია, ამასთან, სწორედ აქ მდებარეობს ქვეყნის მართლმადიდებლური რელიგიური ცენტრი და სხვა კონფესიათა სალოცავების თავმოყრის ადგილიც

(კათოლიკური ეკლესიები, მეჩეთი, სინაგოგა, ათეშვა). მაგრამ ქალაქგეგმარებით სტრუქტურაში ძირითადი ადგილი უჭირავს საცხოვრებელ სახლებს.




თბილისი, ტურნეფორის გრაფიურა, 1701 წ.

საინტერესოა, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში სპარსეთის შემოსევის და ქალაქის მორიგი დანგრევის შემდეგ, როგორც მეფე აშენებს მეფის სასახლეს ზემო კალაში, ბატონის მოედანზე. სწორად ამ სასახლეს აღწერენ მრავალი ვაჭარი და მოგზაური, რომლებიც იმ პერიოდში იმყოფებოდნენ თბილისში, მათ შორისა ჟან შარდენიც. მისი გადმოცემით, ბატონის (იგივე მეფის მოედანი, ზემო მოედანი, სალაყბო, გუბერნატორის, ეგ ზარქოსის, ბეგელის... ამჟამად ერეკლე მეორის მოედანი) მოედანზე ათასი ცხენოსანი მოთავსებოდა. გრაფიკულ ნახატზე ბატონის მოედანი გალავანშემოვლებულია, რაც ქონგურების სახითაა აღნიშნული. ამ ნახატის მიხედვით, ბატონის მოედანი სამხრეთის მხრესაა წაგრძელებული და მას ამ მხრიდან გრძელი ბაზარი (რასტაბაზარი) ემიჯნება. სასახლის სიახლოვეს თავს იყრიდა აუარებელი ცნობისმოყვარე, ამბების გასაგებად, რის გამოც ამ ადგილს “სალაყბო” მოედანს უწოდებდნენ. ბატონის მოედნის სიახლოვეს მდებარეობდა წმ.გიორგის კარის ეკლესია, დავანხანა (მეფის კანცელარია), სტამბა, აბანო (ე.წ. “როსტომის აბანო”).


XVII-XVIII საუკუნეებში ქუჩის მონაკვეთს, ახლანდელი ბარათაშვილის ქუჩიდან ანჩისხატის ეკლესიამდე წყალისკარის ქუჩა ერქვა აქ მდებარე ქალაქის ერთერთი კარის – “წელის კარის” – გამო (XIX საუკუნეში ამ ქუჩას ანჩისხატის ქუჩა დაერქვა, ხოლო 1923 წლიდან იოანე შავთელის სახელს ატარებს). ქუჩის განაშენიანება დაიწყო როგორც მეფის სასახლის მშენებლობის დროიდან. ზუსტად ამ დროს აქ 2-3-სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა იწყება. ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის რუკაზე აღნიშნულია, რომ ამ ქუჩაზე, რომელიც იმყოფებოდა ციხის კედლების შიგნით,

განლაგებული იყო ანჩისხატის ეკლესია თავისი განაშენიანებით (6), ამილახვარის სახლი (7), ბატონიშვილის სახლი (8), მუხრანბატონის სახლი (10) და ლუარსაბის სახლი (9) – დასაშვებია, რომ მის ადგილას მდებარეობს ჩვენი საკვლევი ობიექტი.



თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის რუკა, 1735 წ.

აქ, ახლანდელი შავთელის, ერეკლე II-ისა და სიონის ქუჩების გასწვრივ გადიოდა შუა საუკუნეების თბილისის ერთერთი ძირითადი მაგისტრალი, და ამ მაგისტრალთან მიემართებოდა ძველი თბილისის ძირითადი ქუჩათა სისტემა. ამ ღერძის გაყოლებით იყო განლაგებული უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ნაგებობები. საინტერესოა, რომ 1956-1957 წლებში ანჩისხატის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოების მიმდინარეობის დროს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა შუა საუკუნეების საკანალიზაციო სისტემის არსებობა შავთელის ქუჩის იმ მონაკვეთზე, რომელიც ბარათაშვილის ქუჩასა და ანჩისხატის ეკლესიას შორის არის მოქცეული.




თბილისის რუკა, 1782 წ.

- 1 - წყლის კარი
- 4 - ანჩისხატი
- 7 - მეფის სასახლის ეზოები
- 11 - მეფე ერეკლეს კერძო აპარტამენტები
- 13 - ნათლისმცემელის ეკლესია

ქალაქისა და ციხის გამყოფი კედელი 1750 წელს ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის ბრძანებით იქნა აღებული, რის შედეგადაც ქალაქი და “დაბლა ციხე” გაერთიანდა. მოედანზე მდგარი მეფის სასახლე კი შეეწირა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევას - 1795 წელს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ დღევანდელი შავთელის ქუჩა ანჩისხატის ეკლესიიდან “წყლის კარამდე”,

განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც მიმართული იყო მდინარესაკენ, XVIII საუკუნის ბოლომდე განაშენიანებული იყო ფეოდალ-არისტოკრატისა და უმაღლესი იერარქიის წარმომადგენლების საცხოვრებელი სახლებით. თუმცა 1795 წელს ქალაქის დანგრევის შემდეგ ქუჩის ამ ნაწილში არ დარჩენილა არც ერთი ნაგებობა გარდა ანჩისხატის ეკლესიისა, რომლის ისტორიული მნიშვნელობა და არქიტექტურული სახე დღემდე ასრულებს განსაკუთრებით როლს. არა მხოლოდ ჩვენი საკვლევი ტერიტორიის ფორმირებაში, არამედ მთელი ქალაქისაა.



თბილისის რუკა, 1841 წ.



თბილისის რუკა, 1867 წ.

1809 წელს დანგრეული სასახლის ადგილას კავკასიის გუბერნატორის სახლი აიგო, რის გამოც ბატონის მოედანს გუბერნატორის მოედანი ეწოდა. მოგვიანებით ამ შენობაში ეგზარქოსის (*მღვდელმთავრის*) რეზიდენცია იყო განთავსებული. მოედანმა კიდევ ერთხელ შეიცვალა სახელი და ამ დროიდან ეგზარქოსის მოედნად იხსენიებოდა (*საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას ავგუსტ ბებელის სახელი დაერქვა*). დაახლოებით იგივე პერიოდში იწყება საცხოვრებელი სახლებით დღევანდელი შავთელის ქუჩის (ანჩისხატის ეკლესიიდან დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩის წითელ ხაზამდე) განაშენიანება, რომელიც ჩანს ქალაქის 1841 და 1867 წლების რუკებზე. ხოლო მდინარის მხრიდან კვარტლის ეს ნაწილი აღნიშნულია სავარაუდოდ სამეურნეო დანიშნულების უმნიშვნელო განაშენიანებით. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის საარქივო ფოტომასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თუ ქუჩის მხარეს განაშენიანება სტაბილური იყო, მდინარის მხარეს განაშენიანება განუწყვეტელივ იცვლებოდა – ხდებოდა მიშენებები, ქუჩაზე გამოძავალი ძირითადი შენობების ფლიგელების აშენება ან დაშლა, ცალკე მდგომი საცხოვრებელი ან სამეურნეო დანიშნულების ნაგებობის აშენება ან დაშლა.

თბილისის რუკა, 1902 წ.



თბილისის რუკა, 1924 წ.



ფოტოსურათი, 1929 წ.



თითქმის 1920 წლამდე აქ ჩანს ბოსტნები და მხოლოდ 1924 წლის რუკაზე ეს კვარტალი მდინარემდე მთლიანად საცხოვრებელი განაშენიანებით არის აღნიშნული. თუმცა 1929 წლის ერთერთ ფოტოსურათზე ჩვენი საკვლევი შენობის ქვევით, მდინარის პირას ჩანს დიდი, სავარაუდოდ საწარმოო შენობა, რომელიც აღებული იქნა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მშენებლობის დროს 1930-იან წლებში.

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენი საკვლევი კვარტალი უშუალოდ ებჯინება მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და იმყოფება დღევანდელი ბარათაშვილის ხიდის ახლოს, ამასთან ჩვენი საკვლევი ობიექტი კარგად ჩანს როგორც მდინარის სანაპიროდან, ასევე ხიდიდან - საჭიროა აღვნიშნოთ ბარათაშვილის ხიდის (ყოფილი მუხრანის ხიდის) მშენებლობის ისტორია.

1906 წლის ქალაქის გეგმაზე, რომელიც იყო „შესწორებული და შევსებული“ ვარიანტი 1903 და 1904 წლების გეგმებისა აღნიშნულია ქალაქის განაშენიანების ღონისძიებები ცალკეული უბნების დაკავშირების გაუმჯობესების თვალსაზრისით. გათვალისწინებული იყო სამი ხიდის მშენებლობა მდინარე მტკვარზე – მათ შორის მუხრანის ხიდისა, რომელიც დააკავშირებდა უმოკლესი გზით ავლაბარს ქალაქის ცენტრთან. მუხრანის ხიდს მარცხენა ნაპირიდან ერთვოდა ციციანოვის აღმართი, ხოლო მარჯვენა ნაპირიდან - მუხრანის ქუჩა (დღევანდელი ბარათაშვილის აღმართი და ქუჩა). გასაბჭოებამდე 1921 წლამდე ამ სამი ხიდიდან მხოლოდ მუხრანის ხიდი იქნა აშენებული.



1880-იანი წწ.



მუხრანის ხიდი, 1913 წ.



1960-იანი წწ.

XIX საუკუნოს პირველ ნახევარში „მუხრანის ხიდს“ ეძახდნენ ადგილს, რომელიც მდებარეობდა დღევანდელი ბარათაშვილის ხიდის მიმდებარედ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, თუმცა აქ არავითარი ხიდი უკვე აღარ იყო. აქ მდინარესთან ახლო პატარა ხეზე („ავანანთ ხევი“) გადებული იყო პატარა ხიდი, რომელიც ნაჩვენებია 1735 წლის გეგმაზე, როგორც „ქვედა ჭიშკრის ხიდი“ („წყლის კარის ხიდი“). გამომდინარე იქიდან, რომ მის ახლო მდებარეობდა მუხრანელი ფეოდალის სახლი, ქალაქელები ეძახდნენ „მუხრანის ხიდს“. ასევე XIX ს. მეორე ნახევარში ბორანს, რომელიც გადიოდა მტკვარზე, ერქვა „მუხრანის ხიდის ბორანი“. XIX ს. შუა ხანებში სწორედ აქ იყო ყველაზე ინტენსიური მოძრაობა მტკვრის ერთი ნაპირიდან მეორეზე


გადასვლასთან დაკავშირებით. მაშინდელი მონაცემებით ბორანით დღეში ერთი ნაპირიდან მეორეზე გადადიოდა საშუალოდ 2000 ადამიანი. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყოველწლიურად წყალდიდობის დროს ბორანი წყდებოდა. 1911 წელს ბორანის მოძრაობის ხაზის ადგილზე აშენდა *ინჟინერ ე.პატონის პროექტით* ლითონის ხიდი, რაზეც თბილისელებმა გააგრძელეს „მუხრანის ხიდის“ სახელწოდების გამოყენება. 1965 წელს ლითონის ხიდი შეიცვალა ახალი **ბარათაშვილის სახელობის ხიდით** (*ინჟინერი გ.ქარცივაძე, არქიტექტორები შ.ყავლაშვილი და ვ.ქურთიშვილი*).



1890-იანი წწ. მუხრანის ბორანი

ბარათაშვილის ქუჩა – დღევანდელი აღ.პუშკინის ქუჩიდან ნ.ბარათაშვილის ხიდამდე გრძელდება. ძველთაგან ამ ქუჩის გასწვრივ გადიოდა ხევი. ხევის ნაპირს ტეხილი ხაზით V-VI საუკუნეებიდან მოყოლებული მიჰყვებოდა ბურჯებითა და კოშკებით გამაგრებული ქალაქის გალავნის ჩრდილოეთი კედელი. ეს კედელი არაერთხელ დანგრეულა და აღმდგარა. 1750 წელს ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის ბრძანებით ხევი გადახურეს, მიწით ამოავსეს, გალავანი ააფეთქეს. მას შემდეგ, რაც ქალაქმა დაიწყო მტკვრის ხეობის გასწვრივ ზრდა, აფეთქებული კედლის ნარჩენები დარჩა საცხოვრებელი განაშენიანების შიგნით. აქ XIX საუკუნის მეორე ნახევარში XX საუკუნის დაწყებამდე გაჩნდა 2-3 სართულიანი საცხოვრებელი განაშენიანება შიდა ეზოებით – ტიპური იმ დროის არქიტექტურული მიმდენარეობისა. გადახურული კოლექტორისა და ამოვსებული ხევის ადგილზე წარმოიქმნა მუხრანის გზა, რომელსაც 1843 წლიდან მუხრანის ქუჩა ეწოდებოდა, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა ეწოდა 1945 წლიდან.


1890-იანი წწ.



მუხრანის ქუჩა 1900 წ.




თბილისში სამშენებლო-აღდგენით სამუშაოები დაიწყო 1978 წელს და ათი წლის განვალბაში სამუშაოები ტარდებოდა სისტემატურად. ყოვეწლიურად ხდებოდა თითო მნიშვნელოვანი უბნის რეკონსტრუქცია-აღდგენა: კოლმეურნეობის (ახლანდელი გრ. ორბელიანის) მოედანი, პუშკინის და ბარათაშვილის ქუჩები მისივე სახელობის ხიდთან ერთად მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (ანჩისხატთან); კიბალჩიის, დუტუ მეგრელის ქუჩები, ღვინის და ეახვლედიანის აღმართები მარცხენა სანაპიროზე; მეტეხის აღმართი, შარდენის, სიონის, ერეკლე მეორეს ქუჩები, ნაწილობრივად ღესელიძის ქუჩა, რკინის და ბამბის რიგები, მშრალი ხიდის ზონაში – ვირსალაძის და მტკვრის ქუჩის ზოლები, სიონიდან ანჩისხატამდე სანაპირო ზოლები, აბანოთუბანი და მათ შორის შავთელის. ამასთან ერთად სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობდა ცალკეულ ობიექტებზეც, შენდებოდა ახალი ობიექტებიც, ასევე ტარდებოდა საინჟინრო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, ძველი ქალაქის მასშტაბური რეკონსტრუქციის შედეგად ჩამოყალიბდა პოზიტიური გამოცდილება.



ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის პროექტი, 1979 წ. (არქ. შ.ყავლაშვილი)

1979 წელს დამთავრდა ბარათაშვილის ხიდის მარჯვენა ნაპირის – ბარათაშვილის ქუჩის განაშენიანების რეკონსტრუქცია. 1978 წელს, როცა დადგა ბარათაშვილის ქუჩის გაგანიერების საკითხი გადაწყდა გაეფართოებინათ იგი ქალაქის ყოფილ კედლამდე, რის გამოც აღებული იქნა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის მთელი რიგი საცხოვრებელი განაშენიანება. სამეცნიერო მეთოდური და არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციაში ყველაფერი არ არის მისაღები, თუმცა დადებით გადაწყვეტად უნდა ჩაითვალოს არსებული თაღოვანი სარდაფების ადაპტაცია-რეკონსტრუქცია საზოგადოებრივი გამოყენებისათვის.



საკვლევი ობიექტი
შავთელის ქუჩა №17

მარჯვენა სანაპირო ბარათაშვილის ხიდთან რეკონსტრუქციის მერე, 1984 წ.

რეკონსტრუქციის შედეგად კარდინალურად შეიცვალა ჩვენი საკვლევი კვარტლის სახე მტკვრის სანაპიროს მხრიდან და კერძოდ – ჩვენი საკვლევი ობიექტის სახე.



საკვლევი ტერიტორიას უკავია მცირე კვარტალი ბარათაშვილის ხიდთან, რომელშიც განლაგებულია ხუთი შენობა და რომლებიდანაც ერთი – შავთელის ქუჩა №17 – ჩვენი საკვლევი შენობაა. კვარტალი შემოსაზღვრულია ბარათაშვილის და შავთელის ქუჩებით, შავთელის დაღმართით და მარცხენა სანაპიროთი. ქალაქის ამ ნაწილის 1979-80 წლების რეკონსტრუქციის დროს ბარათაშვილის ქუჩა საავტომობილო ტრასით მარჯვენა სანაპიროს შეურთდა სპეციალური დაღმართით, რომელმაც შექმნა დაბალი ტერასა წაგრძელებული მოედნით ორი სწორკუთხა კვარტლის წინ - ჩვენი საკვლევი და და მეზობელი კვარტალი. მეზობელ კვარტალში სულ სამი შენობაა – ანჩისხატის ეკლესია, მისი სამრეკლო და გრძელი 2-სართულიანი სახლი (შავთელის ქუჩა №5/ შავთელის სესახვევი №7) – რომლიდანაც ანჩისხატის ეკლესია თბილისის ტერიტორიაზე უძველესი შენობაა (ღმრთისშობლის შობის ეკლესია - შავთელის ქუჩა №7 - კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010404007 და სამრეკლო - კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010404008)

ანჩისხატი



ღმრთისმშობლის შობის ეკლესია, რომელიც ანჩისხატის სახელით არის ცნობილი, დგას შავთელის ქუჩაზე, ზემო კალაში. ანჩისხატი თბილისში შემორჩენილი უძველესი ეკლესიაა. არქიტექტურული გადარჩევის თავისებურებებით იგი VI ს-ით თარიღდება. მას უნდა ეხებოდეს მატანის ცნობა, რომლის მიხედვითაც მეფე დამიმ 510-იან წწ-ში თბილისში ააშენა წმ. მარიამის ეკლესია. შენობა, როგორც ჩანს, ძლიერ დაზიანდა XV-XVII სს-ში ირანელთა მიერ თბილისის არაერთგზის აოხრების შედეგად. 1675 წ-ს ის აღადგინა კათალიკოსმა დომენტიმ. აღდგენილ ეკლესიაში დაასვენეს 1664 წ-ს ანჩის ტაძრიდან გადმოტანილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რის შემდეგაც მას ანჩისხატის ეკლესია ეწოდა. XIX ს-ში ნაგებობა რამდენჯერმე შეკეთდა. 1958-1960 წწ-ში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად ეკლესიას მოეხსნა XIX ს-ის დანამატები. ბევრ ადგილას განახლდა დაზიანებული თავდაპირველი საფასადო წყობა.

შუა საუკუნეებში ანჩისხატი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთა კარის ეკლესია იყო. 1674 წ-დან ეკლესიის დეკანოზები ტრადიციულად იყვნენ მესხინშილითა გვარის წარმომადგენლები. მათ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ანჩისხატის კალიგრაფიული და ლიტერატურული სკოლა. 1920-იან წწ-ში შენობა ეკლესიას ჩამოერთვა. ერთხანს მასში განთავსებული იყო კუსტარული ხელოსნობის მუზეუმი, შემდეგ შემოქმედებითი სახელოსნო. ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღდგა 1989 წ-ს.

ანჩისხატის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. მიუხედავად გვიანდელი განახლებისა, მან ძირითადად შეინარჩუნა პირვანდელი არქიტექტურული კომპოზიცია. შუა ნავს აღმოსავლეთიდან ასრულებს ნალისებრი გეგმის აფსიდი, რომლის ორსავე მხარეს დამატებითი მართკუთხა სათავსებია მოწყობილი. შესასვლელი მათ გვერდითი ნაგებობის შრიდან აქვს. გარდა ამისა, სამხრეთის სათავსს კარი აღმოსავლეთიდანაც ჰქონდა (მოგვიანებით ის ამოკლეს), რაც მეტად იშვიათი თავისებურებაა და ბაზილიკის ადრეულობას მოწმობს. თავდაპირველი სახით შემოინახა საკურთხევის აფსიდისა და მიმდებარე სათავსების ფართო, პარალელურწირთხლებიანი სარკმლები. აფსიდის სარკმელს ამკობდა პატარა თაღების რიგით გაფორმებული გადანაკეცებიანი თავსართი, რომელიც ამჟამად ძლიერ დაზიანებულია. შენობის ძველი კედლები შიგნიდანაც და გარედანაც სუფთად თლილი მოყვითალო ტუფის დიდი კვადრებითაა ამოყვანილი. XVII ს-ში აღდგენილი კამარები, თაღები, ბურჯები, კედლების ნაწილი და კარნიზები აგურისაა. აღდგენის დროს თავდაპირველი სამი წყვილი ჯვრისებრი ბურჯი ორი წყვილი მრგვალი ბურჯით შეცვალეს.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს. ახლა მათგან მთავარია დასავლეთის ფართო და

მაღალი კარი, რომელმაც თავდაპირველი სახე სხვებზე უკეთ შემოინახა. მისი არქიტურაჟის ცენტრში გამოკვეთილი, მედალიონში ჩანერილი ჯვარი ამჟამად ძნელად განიჩნება. არქიტურაჟის ზემოთ ნალისებრი მოყვანილობის ღია ლუნეტია. ასეთივე ფორმისაა 1958-1960 წწ-ში რესტავრირებული ჩრდილოეთის კარიც. სამხრეთის კარის არქიტურაზე გამოკვეთილი იყო ჯვრის ამალღების კომპოზიცია. ამჟამად მისი ორი ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტი — მედალიონში ჩანერილი ტოლმკლავა ჯვარი და ანგელოზის ფიგურა ჩასმულია დასავლეთის ფასადის ზედა ნაწილის გვიანდელ წყობაში. რელიეფის ქვედა არეზე ამოკვეთილი წარწერისაგან, რომელშიც სავარაუდოდ მეფე დამი იყო მოხსენიებული, მხოლოდ რამდენიმე ასო შემორჩა.

ეკლესიის საკურთხეველში შემორჩენილია 1683 წ-ს კათალიკოს ნიკოლოზ ამილახერის დაკვეთით შესრულებული მხატვრობა. ალსანიშნავია აფსიდის შუბლზე გამოსახული „იესეს ძირი“, რომელიც საქართველოში საკმაოდ ხშირია და ბაგრატიონთა გვარის ბიბლიურ წარმომავლობას მიანიშნებს. ძირითად სივრცეში შემორჩენილია XIX ს-ის I ნახევრის მოხატულობა, რომელიც 1813 წ-ს დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხინშვილის მიერ ტაძრის განახლების შემდეგ არის შესრულებული (გაცხივებულია 1890-იან წწ-ში). იგი შუა საუკუნეებიდან ახალ დროზე გარდაბადი ხანის ქართული მხატვრობის ნიმუშია და მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ისტორიის სცენების გამოსახვით არის განსაკუთრებით საყურადღებო.

ეკლესიაში დამკარალული არიან კათალიკოსი ევდემოზ I (1630-1643) და დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი ონიფრე მაცუტაძე (გარდ. 1733).

სამხრეთიდან ანჩისხატის ეკლესიას ჰქონდა თანადროული ეგვტერი, რომელსაც აღმოსავლეთით ეკვრდა ორი პატარა მართკუთხა სათავსი. ეგვტერიც და სათავსებიც დანგრეულია, ჩანს მხოლოდ მათი კედლების ძირი.

ეკლესიის დასავლეთით, მისგან 10-იოდე მ-ის მოშორებით დგას ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც აშენებულია დომენტი კათალიკოსის თაოსნობით 1675 წ-ს ტაძრის აღდგენის დროს. სამრეკლოს დასავლეთის ფასადი შავთელის ქუჩაზე გამოდის. მისი აგურით ნაგები კორპუსი ორსართულიანია. პირველი სართული ტაძრის ეზოში შესასვლელ თაღთან კარიბჭეს წარმოადგენს, მეორე სართულზე საცხოვრებელი სათავსია მოწყობილი. აგურის კორპუსს ადგას თლილი კვით ნაშენი, თაღებით გახსნილი მსუბუქი რვანახნაგა ფანჩატური მაღალი კონუსური სახურავით. სამრეკლოს ირანული არქიტექტურის გავლენა ატყვია, რაც თავს იჩენს პორტალის თაღების ისრულ მოხაზულობასა და აგურის თევზისფერ წყობაში.

ანჩისხატის ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით იდგა დომენტი კათალიკოსის სამსართულიანი სასახლე, აგებული 1670-იან წწ-ში. მისი ორი ქვედა სართულის ნაშთი ამჟამად მიწის ქვეშ არის მოქცეული.



XIX საუკუნის დასაწყისში თბილისის როლი ცხადად და ცალსახად ჩამოყალიბდა როგორც რუსეთის იმპერიის მიერ ბოლომდე დასაპყრობი კავკასიის ადმინისტრაციული დედაქალაქი, სამხედრო ცენტრი, ახლებური საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ცენტრი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ძველი თბილისის“ სოციალური ორგანიზაცია, რომელიც ამქრობაზე იყო დაფუძნებული და რომელმაც უბნის ფენომენს დაუდო საფუძველი. პარალელურად, ძველი ქალაქისგან მოწყვეტით ვითარდებოდა „ევროპეიზირებული“ თბილისი, მიმდინარეობდა ქალაქის ტერიტორიების გაფართოება მიმდებარე სოფლებისა და დასახლებების შერწყმის გზით.

1840-1880-იან წლებში თბილისური სახლი ერთის მხრივ ჯერ კიდევ ინარჩუნებს კავშირს ტრადიციასთან, მეორეს მხრივ ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით არის გარდაქმნილი. ყველა ამ პერიოდის სახლისათვის უმეტეს შემთხვევაში საერთო ისაა, რომ ფასადთა დამუშავებაში გვიანი კლასიციზმის დამახასიათებელი პროფილებისა და დეტალების გაუბრალოება და გადაკეთება ხდება ადგილობრივ ყაიდაზე. როგორც წესი ეს შენობები შენდებოდა ძველებურად, თბილისური საამშენებლო ტრადიციებით, ადგილობრივი ბრტყელი „ქართული აგურით“, კირის ხსნარზე. როგორც წესი საპარადო ფასადები ამ პერიოდის შენობებზე არ ილესებოდა (მოგვიანებით ზოგი ერთი შენობის პარადული ფასადის კედლები შეიღესა და შეიღება), შიდა ეზოების მხრიდან ძირითადი შენობისა და ფლიგელების მთელ სიმაღლეზე და პერიმეტრზე გაყოლებული იყო ღია ხის აივნები (ხანდახან რომელიმე სართულზე შემინული – ანუ შუშაბანდებით), ხოლო ქუჩის მხრიდან შეკიდული აივნები ასევე გაკეთებული იყო ხის კონსტრუქციებით. ეს აივნები შემკული იყო დეკორატიული აუზრული დეტალებით, შესრულებული ტრადიციული ქართული ორნამენტების გამოყენებით. სადა ფასადების მთავარი აქცენტი დაკიდული, დეკორატიულად გაფორმებული ხის აივნებია –ამ დროს, 1840-იანი წლების ბოლოს, საბოლოოდ ჩამოყალიბდა თბილისური აივნების სახე მთელი თავისი მხატვრული გაფორმების სიმდიდრით.

სართულშუა გადახურვის და სახურავის კონსტრუქციაში გამოყენებული იყო ხის მასალა.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელ კალას უბანში თითქმის ყველა სახლს ქონდა სარდაფები – უმეტესად მიწაში განლაგებული (*ხანდახან – ნახევარსადაფი*), აგურის კედლებით ამოყვანილი, თაღოვანი გადახურვით. სარდაფები გამოიყენებოდა სანოვავის შესანახად. ნათდებოდა ვიწრო სამკუთხა ხვრელებით. კედლის სიბრტყეში განთავსებული იყო ნიშები და კედლის თახჩები.

სწორად ამ პერიოდის ქალაქის განვითარების ხაისიათია ტიპური ჩვენი საკვლევი ობიექტისათვის, რომელიც მდებარეობს **შავთელის ქუჩაზე №17** და ასევე ზოგიერთი შენობა, რომლიც განლაგებულია მის ახლოს:



შავთელის ქუჩა №26

(მარიონეტების თეატრი)

კულტურული მემკვიდრეობი სუძრავი

ობიექტის / ძეგლის სააღრიცხვო ბარათი

№ 010407035



შავთელის ქუჩა №5/შავთელის შესახვევი №7
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი
ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი
№ 010404009

შავთელის ქუჩა №15 – კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010404004 – შავთელის ქუჩის მხრიდან ეკვრის ჩვენ საკვლევ შენობას. აშენებულია XIX საუკუნის ბოლოში როგორც საცხოვრებელი. განიცადა რამდენიმე რეკონსტრუქცია – 1979 და 2004 წლებში, როცა ეკუთვნოდა მარიონეტების თეატრს და 2008-2009 წლებში, როცა გადავიდა სასტუმრო “ამბასადორის” კუთვნილებაში. ამ დროს დაშენდა მანსარდის სართული და სახურავზე მოეწყო მზის ელემენტების აპარატურა, რომელიც ჩანს ახლო თვასაწიერიდანაც კი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს აპარატურა ახალი ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს განიკუთვნება და მისასაღმებელია ახალი არქიტექტურული განაშენიანებისათვის, ქალაქის ისტორიულ ნაწილისათვის წარმოადგენს სრულიად მიუღებელ ელემენტს. შავთელის ქუჩის მხრიდან ამ ორსართულიან შენობას სარდაფის სართულით, შესასვლელი აქვს ქუჩიდან. საპარადო ფასადზე სიმეტრიულად არის განლაგებული 6 ღიობი ყოველ სართულზე. მეორე სართულზე ცენტრში მოწყობილია ხის აივანი აუზურულ კრონშტეინებზე, რიკულიანი მოაჯირებით და სახურავის ქვეშ აუზრებით მრგვალი კოლონების შორის. დაშენებული მანსარდა შეწყეულია შავთელის ქუჩის ხაზიდან, ხოლო მის წინ მცირე ტერასა ისაზღვრება ყრუ საპარადო ფასადის პარაპეტით. ძირითადი მოცულობის სახურავი 2-ქანობიანია, ხოლო ფლიგელისა – ერთ-ქანობიანი, თუნუქისაა და შეღებილია.



შავთელის ქ. №15
2010 წ.

ხედი
სანაპიროდან

ხედი
შავთელის
ქიჩიდან



საპარადო ფასადი შემკულია პატარა სწორკუთხა პილიასტრებით, სართულშუა და პარაპეტის პროფილირებული კარნიზებით. სწორკუთხა კარ-ფანჯრების ღიობები გარშემორტყმულია ასევე პროფილირებული კარნიზებით სეგმენტური ზღუდარების იმიტაციით და ფანჯრისქვედა პანელებით. კედლები გალესილია და შეღებილი. გეგმარებით «Г»-ტიპის შენობა სანაპიროსკენ მიმართულია გრძელი ფლიგელით. ამ მხარეს ძირითადი მოცულობის ფასადი და მისი ფლიგელი ქმნიან სამ სართულს, რომლის მთელ პერიმეტრზე მოწყობილია ხის აივნები. შენობის სადა კედლები სწორკუთხა ღიობებით

ასევე გაღესილია და შეღებილი. დაშენებული მანსარდა ფლიგელის კედლის სიბრტყეშია, რომელსაც გასდევს დაბალი გრძელი ფანჯრები. აივნის კოლონები მრგვალია რიკულიანი მოაჯირებით მათ შორის. იქ, სადაც ძირითადი შენობა ეკვრის მეზობელი სახლის (№17) ფლიგელს მთელი სართულების სიმაღლეზე მოწყობილია ხრახნული ღია ხის კიბე რიკულებიანი მოაჯირით. დღეისათვის შენობა ეკუთვნის სასტუმრო კომპლექსს “ამბასადორს” და აქ განლაგებულია სასტუმროს საცხოვრებელი ნომრები.



1984 წ.



შავთელის ქ. №13
სასტუმრო
“ამბასადორი”

2010 წ.



აქვე სავალდებულოა აღინიშნოს, რომ №15 შენობის ფლიგელს სანაპიროს მარიდან და №13 შენობას (რეაბრიაციის მარიონეტების თეატრი) შავთელის დაღმართის მხრიდან ეკვრის სასტუმრო კომპლექსს “ამბასადორის” ძირითადი შენობა (რომლის მისამართია ასევე შავთელის №13). ეს შენობა აშენებული იქნა 1979-80 წლებში რეკონსტრუქციის დროს როგორც 2-სართულიანი კაფე “თბილისის წყლები”, რომელიც 2000-იან წლების დასაწყისში გადაკეთდა სასტუმრო “ამბასადორად”. ამჟამად წარმოადგენს 4-5 სართულიან შენობას. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შერეული კომპოზიცია და სტილისტურად ერთმანეთთან შეუთავსებელი სხვადასხვა მოცულობები ამ შენობისა, სპონტანურად დაშენებული და მიშენებული ბოლო 10 წლის მანძილზე – ტოვებს ქაოტურ და მოუფიქრებელ შთაბეჭდილებას. ამ შთაბეჭდილებას აღრმავენ ანჩისხატის ეკლესიისაკენ მიმართულ კედელზე ქაოტურად დამაგრებული გამათბობელ-სავენტილაციო დანადგარები და შემინული ლიფტის უჯრედი, რომელიც ეკვრის №15 შენობის ფლიგელს.

საცხოვრებელი სახლი №13 რეკონსტრუქციის შემდეგ (არქიტექტორი გ.ჯაფარიძე) გადაკეთდა მარიონეტების თეატრად. აქაც ოდნავ მოგვიანებით თეატრთან ერთად ფუნქციონერებდა ძველ ქალაქში პოპულარული

თეატრალური კაფე “არ დაიდარდო”. ამჟამად ამ ობიექტზე მიმდინარეობს “გაბრიადის მარიონეტების თეატრის” და კაფეს რეკონსტრუქცია (*საპროექტო სახელოსნო “ატუ”-ს მიერ, პროექტის ავტორი – ე.ოსეფაშვილი*). დღეისათვის ძირითადი მოცულობა 4-კუთხა გეგმარების მქონე შენობისა განლაგებულია შავთელის ქუჩის და შავთელის დადმართის კუთხეში და წარმოადგენს ძველი თბილისის XIX საუკუნის ბოლოსათვის დამახასიათებელ ტიპიურ განაშენიანებას კარგად მოფიქრებული კომპოზიციით გროტესკული უტრირებული არქიტექტურული დეტალებით იმ დროისა – რაც სრულად აკმაყოფილებს ამ შენობის ფუნქციონალური დანიშნულების მოთხოვნილებებს. შავთელის ქუჩაზე დღეისათვის ამ შენობას უშენდება კოშკი მოძრავი თოჯინებიანი საათისათვის.



შავთელის ქ.№13, (რეზო გაბრიადის მარიონეტების ტეატრი), 2010 წ.



1990-იან წლებიდან თითქმის 2000 წლების დასაწყისამდე გაჩაღებული ახალი მშენებლობები “ძველ თბილისში” და მთელს ქალაქში იმპულსურ და ქაოტურ მიმართულებას იღებს. პოლიტიკური შეხედულებების ხშირმა და მოკლე-ვადიანმა ცვლილებებმა მიგვიყვანეს სრულ შეუთანხმებლობამდე ახალ მშენებლობებში, არამარტო არქიტექტურულ-გეგმარებითი, არამედ ფუნქციონალური თვალსაზრისითაც. ნაგებობათა აბსურდული მასშტაბის შეუსაბამობა ისტორიულ განაშენიანებასთან მძაფრდება არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ნიშნების სრული იგნორირებით და უკიდურესად უტაქტო დამოკიდებულებით უკვე არსებულ გარემოსთან.

ამავე პერიოდში კერძო კომპანიებმა და ცალკეულმა პირებმა დაიწყეს სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე ხდება ახალი სახლების მშენებლობა და ცალკეული ობიექტების აღდგენა მთელ ძველ ქალაქში და ჩვენი საკვლევი ტერიტორიის ახლოს, მაგრამ ეს ობიექტები უმრავლეს შემთხვევაში უკვე შეთანხმებულია ოფიციალურ სტრუქტურებთან.

სწორედ ამის მაგალითია არქიტექტურული მოცულობის მასშტაბების თვალსაზრისით სასტუმრო კომპლექს „ამბასადორის“ ძირითადი კორპუსი და შავთელის ქუჩა №22/ჩახრუხადის ქუჩა №21-ში მდებარე შენობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ეს შენობა უშუალო სიახლოვეს იმყოფება უძველეს ანჩისხატის ეკლესიასთან.



ჩვენ საკვლევ კვარტალში და №17 შენობასთან ახლოს იმყოფება კიდევ ერთი შენობა - შავთელის ქუჩა №1, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ეროვნული გალერეა, რომელიც ასევე არ შეიძლება დავტოვოთ ყურადღების გარეშე, რამდენათაც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენი საკვლევ ობიექტის სახის ფორმირებაში – როგორც შავთელის ქუჩის, ასევე სანაპიროს მხრიდან. 3-4 სართულიანი შენობამ გადაკეთების შემდეგ მიიღო დღევანდელი სახე ტერიტორიის 1979-81 წლების რეკონსტრუქციის შედეგად. ეს არის ე.წ. „თავისუფალი ვარიაცია“ თბილისის საცხოვრებელი განაშენიანების თემაზე, XIX საუკუნის შუახნებისა (სადა კედლები მორთულობის გარეშე, განიერი ხის აივნები, ეზოს მხრიდან ფასადზე შემინული შუშაბანდებით, კრამიტის სახურავი ხის კონსტრუქციებზე და ა.შ.), შერწყმული 1970-81 წლებისათვის დამახასიათებელ დეკორატიულ ელემენტებთან (მხატვრული ფერადი ვიტრაჟი ცენტრალურ კიბის უჯრედში, თემატური ბარელიეფი-პანო ყრუ კედელზე ორი სართულის სიმაღლეზე და ჩამოსხმული ელ.ამაშუკელის ქანდაკება მის გვერდზე, შავთელის ქუჩის მხრიდან). აქვე უნდა ითქვას მრავალფიგურიანი ქანდაკება „ბერიკებზე“ (მოქანდაკე ბ.ცაბაძე), რომელიც აქტიურად მუშაობს ვიზუალური თვალსაზრისით გალერეის შენობაზე ბარათაშვილის ქუჩიდან.




შავთელის ქ.№13, (ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ეროვნული გალერეა), 2010 წ.

ჩვენი საკვლევ ობიექტი - შავთელის ქუჩა №17 – წარმოადგენს 2-სართულიანი შენობას (ეზოს მხრიდან მაღალი ცოკოლის სართულით), შედგება 3 ნაწილისაგან – ძირითადი შენობა, რომლის საპარადო ფასადი გამოდის შავთელის ქუჩაზე, და ძირითად მოცულობაზე სანაპიროს მხრიდან პერპენდიკულარულად მიშენებული 2 ფლიგელისაგან.



საკვლევ ობიექტი
შავთელის ქ.№17
2010 წ.

ტექნიკ. გენგეგმა
1957-1965 წწ.





ხის
კოჭი


ვერტიკალური
ბზარი



დაზიანებული
აგურის წყობა


გვიანდელი
ნალესი

კონსტრუქციული
თაღის
სარდაფში




შავტელის ქ. №17 – საკვლევი ობიექტი, 2010 წ.


შენობა აშენებულია სავარაუდოდ XIX საუკუნის შუახანებში. საპარადო ფასადის სტილი და შენობის სადა ანფილადური გეგმარება ღია აივანზე გამოსასვლელიებით, ატარებს გვიანი კლასიციზმის ანაბეჭდს. კედლები შესრულებულია „ქართული“ აგურით კირის ხსნარზე. სავარაუდოთ თავდაპირველად არ იყო შეღესილი, რასაც ადასტურებს სართულშუა კარნიშების და 2-სართულის სწორკუთხა ფანჯრებზე გარშემორტყმული სადა დეკორი შესრულებული გამოწეული საფეხურიანი აგურებით. ასევე სართულშუა გადახურვის ხის კონსტრუქციებისათვის, აგურის სუფთა წყობაში გაკეთებული „შტრაბები“, რომელიც ჩანს ჩამოყრილ გვიანდელ ნალესში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ფასადებზე და ინტერიერებში, იმ ადგილებში, სადაც ჩამოყრილია ძველი ნალესობა, ჩანს როგორ დაკარგა კირის ხსნარმა თავისი შეკვრის უნარი და ჩამოიყარა. ეს პრობლემა ტიპიურია თბილისის XIX საუკუნის დასაწყისში და შუახანებში აშენებული შენობებისათვის. სწორედ ეს პრობლემა იყო მიზეზი, რომ 1979-81 წლებში რეკონსტრუქციის დროს გაღესილი იქნა ეს სახლი ცემენტის რთული ხსნარით. ჩვენ საკვლევი შენობის ფასადის კედლებზე ჩანს მცირე ვერტიკალური ჯდენის ბზარები. ასევე ბზარები გააჩნია ფლიგელის შენობას სანაპიროს მხრიდან (მარცხენა ფლიგელი). უნდა აღინიშნოს, რომ ფასადიდან შემავალ თაღოვან შესასვლელში ჩანს, რომ ფასადის კედელი და მისი პერპენდიკულარული კედლები არათანაბარ ჯდენას განიცდიან, რის გამოც მათ შორის წარმოშობილია ბზარები. სართულშუა მზიდი კონსტრუქციები ხისაა. ძირითადი მოცულობის სახურავი 2-ქანობიანია, ხოლო ფლიგელებისა – 1-ქანობიანი. სახურავი ხის კონსტრუქციებით არის გაკეთებული და შეღებილი თუნუქით გადახურული. ინტერიერში პირველი და მეორე სართულის კედლები შეღესილია გაჯით. იატაკი ფიცრისაა, ასევე ჭერიც. ცოკოლის სართულის სათავსოებში (სარდაფი შავთელის ქუჩის მხრიდან) აგურის კედლები ნაწილობრივ შეღესილია, ხოლო იქ, სადაც არ არის ნალესობა აგურის კედლებზე ჩანს კონსტრუქციული ნახევრადწრიული თაღები, იატაკები ბეტონისაა, ჭერი ბრტყელია დაფარულია ფიცრებით.



სარდაფი



1 სართული



2 სართული

საკვლევი ობიექტის ძირითადი შენობა გეგმარებით სწორკუთხაა და შავთელის ქუჩაზე გამოდის გრძელი გვერდით. მისი საპარადო ფასადი კომპოზიციურად სიმეტრიულად არის გადაწყვეტილი. 1-სართულზე ცენტრში მოთავსებულია შესასვლელი თაღი ეზოში სამცირკულიანი ზღუდარით და ხის ჭიშკრით. გვერდებზე ორ-ორი სწორკუთხა ფანჯრებით და ერთ-ერთი კარებით. მარჯვენა კარი შედის სადარბაზოში, ოვალური ხის კიბით, რომელიც ადის მეორე სართულის აივანზე. მეორე სართულზე ცენტრში მოწყობილია ხის აივანი, ყრუ კრონშტეინებზე, 4-კუთხა კოლონებითა და რიკულიანი მოაჯირებით, კოლონებს შორის სახურავქვეშა აუზებით. აივანზე გამოდის 2 ფანჯარა და კარები. აივნის გვერდებზე ორივე მხარეს განლაგებულია სამ-სამი ფანჯარა – თითო-თითო ნახევარწრიული ზღუდარით, ხოლო ორ-ორი სწორკუთხა ზღუდარით. ძირითადი შენობის მარჯვენა კედელი მჭიდროდ ეკვრის მეზობელ №15 შენობას. ხოლო მარცხენა გვერდითი კედელი ორი სწორკუთხა ფანჯრით მეორე სართულზე წარმოადგენს საპარადო ფასადს. მასზე მიშენებულია სწორკუთხა პილონი, რომელსაც ეყრდნობა 2-ქანობიანი ხის თალარი, რომლის ქვევით მოწყობილია ბავშვთა გალერეის ეზოში შემაღალი ხის ჭიშკარი.



სადარბაზო კარი



სადარბაზო კიბე



2-სართ.აივანი



დეტალები საპარადო ფასადის მხრიდან, 2010 წ

1979-81 წლების რეკონსტრუქციის დროს სკვლევი კვარტალში სხვა შენობებთან ერთად №17 შენობაზეც მოხდა კარდინალური ცვლილებები, და თუ საპარადო ფასადის კომპოზიცია დარჩა თავდაპირველი – სანაპირო მხარის ძირითადის შენობის და ფლიგელების ფასადებმა ცვლილებების შედეგად


შეიძინა ერთიანი შინაარსი – ეგრეწოდებული „ეზოს ფასადი“. აქ შეიძლება დაგაკვირდეთ საკვლევი შენობის სტუქტურის ფორმირების პროცესს დღევანდამდე. ამ პროცესის თვალის მიდევნებაში გვეხმარება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის საარქივო ფოტომასალა, ასევე შენობის 1957-65 წლების ტექნიკენტარიზაციის გეგმები. ვიზუალურადაც ჩანს, რომ ფლიგელები სხვადასხვა სიმაღლისაა და ზომისაა. გააჩნიათ სხვადასხვა სისქის კედლები, რომლებიც ასევე განსხვავებულია ძირითადი შენობის კედლის სისქიდან, სხვადასხვაა აივნების სიგანეც.



ეზოს ფასადების ხედები, 2010 წ.




ადრეულ საარქივო ფოტოებზე, როცა ჯერ კიდევ არ იყო აშენებული მეზობელი №15 შენობა – ჩვენი საკვლევი ობიექტის მხოლოდ ძირითადი შენობა ჩანს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ორივე ფლიგელი მოგვიანებითაა მიშენებული. უფრო გვიანდელ ფოტოებზე უკვე ჩანს მარჯვენა ფლიგელი, დღევანდელ ბავშვთა გალერეის მხარეს, როლის პირველ მაღალ სართულზე აღიოდა 2-მარშიანი კიბე. ფოტოს მიხედვით №15 შენობის მხარეს მარცხენა ფლიგელი ჯერ კიდევ არ იყო აშენებული და მის ადგილას იყო 2-მარშიანი ხის გადახურული კიბე – განლაგებული ძირითადი შენობის პერპენდიკულარულად.




1880-იანი წწ.

შემდგომი დროის ფოტოებზე უკვე გამოჩნდა აშენებული №15 შენობა და ჩვენი საკვლევი ობიექტის მეორე ფლიგელი. ასევე ჩანს სხვა 2-სართულიანი შენობა განლაგებული ქვევით მდინარისაკენ მიკრული №15 შენობის ფლიგელზე, რითაც ქმნიან №15 სახლის ჩაკეტილ შიდა ეზოს.



1890-იანი წწ.
1900-იანი წწ.



დღეისათვის ჩვენი საკვლევი ობიექტის ფასადი ბავშვთა გალერეის მხარეს წარმოადგენს სადა კედელს 6 ფანჯრის ღიობით (ორ-ორი თითო სართულზე), რომლებიც ისევე, როგორც გვერდითა ფასადების ღიობები ორივე ფლიგელისა შემორკალურია პროფილირებული კარნიზებით. ერთმანეთისაკენ მიმართული ფლიგელების კედლებზე არსებული ღიობები კი უკარნიზო. მხოლოდ ძირითადი შენობის მეორე სართულის ფანჯრებია შემორკალული კარნიზებით – ისევე, როგორც პარადული ფასადისა. მარცხენა ფლიგელის გვერდით ფასადზე, პირველი სართულის დონეზე, არის განიერი ღია ტერასა, მოწყობილი გამოწეული ცოკოლის სართულის გაგრძელებაზე – გააჩნია რიკულიანი ხის მოაჯირი. ძირითადი შენობის და ფლიგელების კედლებზე, რომლებიც მიმართულია ერთმანეთისაკენ, მოწყობილია განიერი ხის აივნები მრგვალი კოლონებით და რიკულიანი მოაჯირებით. ორივე ფლიგელის პირველ სართულზე ამოდის ერთმარშიანი ხის კიბეები.



ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე საკვლევი ობიექტის - შავთელის ქუჩა №17 - რეკონსტრუქციის პროექტის ავტორებისათვის სასურველია ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების მხედველობაში მიღება:

1. გათვალისწინებული იყოს ის ფაქტი, რომ:

- ძირითადი შენობის ფასადი თავდაპირველად შესრულებული იყო „ქართული“ აგურის სუფთა წყობით – ტიპური იმ დროის ამ სტილის შენობებისათვის. ამასთან აგურის წყობის კირის ხსნარმა დაკარგა შემკვრელობა და იფშენება იქ, სადაც არ არის გვიანდელი ნალესობა;
- საკვლევი ობიექტის არქიტექტურული სახე დამახასიათებელია XIX საუკუნის შუა ხნების თბილისის საცხოვრებელი განაშენიანების გვიანდელი კლასიციზმისა. თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულად, რადგან არ გააჩნია საპარადო ფასადზე რთული და ორიგინალური თავდაპირველი დეტალები. ხის აივანიც საპარადო ფასადზე გაკეთებული იყო ანალოგიური ადრე არსებულისა – 1979-81 წლების რეკონსტრუქციის დროს (შესაბამისად წარმოადგენს კოპიოს);
- საკვლევი შენობის ფლიგელები მიშენებული იყო ძირითად შენობასთან მოგვიანებით (ჯერ მარჯვენა - №1 შენობის მხრიდან, შემდეგ მარცხენა - №15 შენობის მხრიდან). მათი აივნების ხის დეტალები გაკეთებული იყო ძირითად შენობაზე შემორჩენილი ხის დეტალების ანალოგიურად - 1979-81 წლების რეკონსტრუქციის დროს (შესაბამისად წარმოადგენს კოპიოს);
- იცვლება საკვლევი შენობის ფუნქციონალური დატვირთვა (ადრე საცხოვრებელი დანიშნულება იცვლება სასტუმროდ), რაც გამოიწვევს შიდა სათავსების გადაგეგმარებას

პროექტის ავტორებს შეიძლება მიეცეთ რეკომენდაცია გამოიყენონ აპრობირებული მეთოდი შენობის რეკონსტრუქცია-ადაპტაციისა, როცა არსებულ მოცულობის ადებით განთავისუფლებულ ადგილზე აშენდება ახალი შენობა, რომელზეც აღდგენილი იქნება ყველა თავდაპირველი მნიშვნელოვანი არქიტექტურული დეტალი და მთლიანი შინაარსობლივი სახე;

2. გათვალისწინებული იყოს ის ფაქტი, რომ ჩვენი საკვლევი ობიექტის ძირითადი შენობის მშენებლობის პერიოდია XIX საუკუნის შუახნები – ხოლო თბილისის ისტორიულ ნაწილში ასეთი შენობები შემორჩენილია ცოტა. პროექტის ავტორებს შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია აღადგინოს საპარადო ფასადის აგურის წყობა თავდაპირველი სახით. რისთვისაც საჭიროა ჩატარდეს პარადული ფასადის ზუსტი ფიქსაცია - არქიტექტურულ-არქეოლოგიური აზომვა, დაწვრილებითი ფოტოფიქსაცია წყობის ყველა კვანძისა, განსაკუთრებით ფასადზე გამოძავალი მზიდი ხის კონსტრუქციების ადგილას გვიანდელი ცემენტის ნალესობის მოხსნის შემდეგ. ასევე. ასევე ფიქსაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფანჯრებისა და კარების ღიობებს მეორე სართულზე, რომლებიც გამოდიან აივანზე, რამდენადაც მათი ახლანდელი კონფიგურაცია შეიძლება იყოს საეჭვო;

3. საამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს სავალდებულოა პროექტის ავტორების მხვრივ განხორციელებული იქნეს არქიტექტურული ზედამხედველობა, რის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი შენობის საპარადო ფასადის აგურის წყობას;

4. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შენობა, რომლებიც თავისი საპარადო ფასადებით გამოდიოდა შავთელის ქუჩაზე, არ იყო გათვალისწინებული პარადული სახისათვის სანაპიროს მხრიდან. ფაქტიურად ჩვენ საკვლევ ტერიტორიაზე შენობების შიდა ეზოს ფასადები გამოირჩევა ქვევით მდინარის გაყოლებით უშუალოდ სანაპიროზე გამოსული, უფრო პარადული ფასადების მქონე შენობებისაგან. საარქივო ფოტოებზე და რუკებზე ჩანს, რომ ქალაქის 1795 წლის დანგრევის შემდეგ, ჩვენ საკვლევ კვარტალში მდინარის მხრიდან ქოტურად გაშენდა საცხოვრებელი შენობები, სამეურნეო და საწარმოო ნაგებობები და ბოსტნები. საკვლევი კვარტლის 1979-81 წლების რეკონსტრუქციის დროს შავთელის ქუჩის ხაზზე მხოლოდ №15 და №17 შენობების საპარადო ფასადები დარჩა პირვანდელი სახით. საცხოვრებელი სახლი №13 გადაკეთდა მარიონეტების თეატრად, შავთელის ქუჩა №1-ში მდებარე შენობა ნაწილობრივ იქნა დატოვებული და იცვალა სახე კარდინალური გადაკეთებით. მოეწყო სატრანსპორტო კვანძი მარჯვენა სანაპიროს მხრიდან. მდინარეს მარჯვენა სანაპიროზე გააჩნდნენ თანამედროვე შენობები, ისეთები, როგორიც „თბილისის წყლები“ (შავთელის ქუჩა №13, შემდგომში 2000-იან წლებში გადაკეთებული სასტუმრო „ამბასადორად“) და ქვევით მტკვრის გაყოლებით რესტორანი „ქალაქური“. რესტორან „ქალაქური“-ს მიმდებარე ტერიტორია ანჩისხატის ეკლესიიდან ბარათაშვილის ხილამდე კეთილმოეწყო, ეკლესიასა და ყველა შენობას შემოერთვა ჭედური ღობეები. რეკონსტრუქციის შემდეგ თითქმის გაქრა საცხოვრებელი ბინები. შედეგად ფუნქციონალური დატვირთვა საკვლევი კვარტალისა სანაპიროს მხრიდან მთლიანად შეიცვალა – გახდა საზოგადოებრივი დანიშნულების. რაც შეეხება ფასადებს ჩვენი საკვლევი შენობისა (№17) და მისი მიმდებარე შენობებისა (№№1, 5, 15) სანაპიროს მხრიდან არქიტექტურული და ესთეტიკური თვალსაზრისით ძველებურად დარჩა „შიდა ეზოს დონეზე“. გამომდინარე აქედან შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია საპროექტო სამუშაოების წარმოების დროს - ფასადის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის სანაპიროს მხრიდან შეეცადონ მისცენ მას უფრო „საპარადო“ სახე, მხოლოდ მოხდეს ამ სტილის ვარიაციის (სტილიზაციის) გამოყენება – ზემოთ აღწერილი უბნისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ნიუანსების გათვალისწინებით;

5. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ავტორები და ობიექტის მეპატრონეები მიიღებენ გადაწყვეტილებას საკვლევი ობიექტის დაშლის და აღდგენის მეთოდის გამოყენების შესახებ – შეიძლება რეკომენდირებული იქნეს მანსარდის დაშენება (ანალოგიურად №15 შენობის მანსარდის მასშტაბისა). ამ შემთხვევაში სავალდებულოა გათვალისწინებული იქნეს ფარული მონტაჟი, ყველა თანამედროვე საინჟინრო დანადგარებისა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მისი ახალი ფუნქციით დატვირთვის დროს;

6. ახალი განაშენიანების პროექტირების დროს პროექტის ავტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ევრეთ წოდებულ „მე-5 ფასადს“ – კერძოთ სახურავის ესთეტიკურ მხარეს, რადგანაც საკვლევ უბანს გააჩნია ისეთი მდებარეობა, რომ ჩანს შორი თვალსაწიერიდანაც კი (თვით მტკვრის მოპირდაპირე ნაპირიდან, ბარათაშვილის ხიდიდან და ა.შ.)

არქიტექტორი –

ალა პროზოროვა
2010 წ.



გამოყენებული ბიბლიოგრაფია, ისტორიული რუკები და ფოტოები:

- ვახტანგ ბერიძე, “თბილისის სუროთმოძღვრება – 1801-1917 წლები”
“საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1960წ.
- თენგიზ კვირკველია, “თბილისის არქიტექტურა”, “საბჭოთა საქართველო”,
თბილისი, 1982წ.
- “თბილისი”, ენციკლოპედია, «ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერ რედაქცია»,
თბილისი, 2002წ.
- “ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა – ანალიტიკური ტეორიული ნაწილი”,
თბილისი, 2007წ.
- ნ.კვეხერელი-კოკაძე, “თბილისის ხიდები”,
“საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1961წ.
- მარინა ბულია, მზია ჯანჯალია, “თბილისი”, ცენტრი “პეტანია”,
თბილისი, 2002წ.
- თენგიზ ბერიძე, “ძველი თბილისის სურათები”, “ნაკადული”,
თბილისი, 1980წ.

თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი; საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ცენტრალური თბილისის არქივი

არსებული სიტუაციის ფოტოფიქსაცია (02. 2010 წ. ფოტო – ა.პროზოროვა)

შავთელის ქუჩა № 17-ში განთავსებული ნაგებობის
და მიმდებარე ტერიტორიის
მხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული
კვლევა



დამკვეთი: შ.პ.ს. "თბილისი ჯგუფი"
შემსრულებელი: არქიტექტორი - ალა პროზოროვა

თბილისი
2010